საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 413 1918 წ. შაბათი, დეკემბრის 21

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რკინის გზაზე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

36

საქ. პარლამენტმა მიიღო კანონი: ვინც მტერს რითიმე დაეხმარება, მთელი ქონება ჩამოერთმევა. ახალქალაქში ჩვენმა ჯარმა მძლავრად დაამარცხა სომხები: ტყვედ წამოიყვანა 60 ჯარის-კაცი, 2 ოფიცერი, წაართვა 2 ტყვიის-მფრქვეველი და ტელეფონი. სანაინშიაც ბრძოლაა და ერთს ნაბიჯს არ უთმობს მტერს ჩვენი ჯარი.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ბორჩალოს ფრონტზე დეკემბრის 19 გმირულად დაიღუპა მტრის ტყვიისაგან მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი

სანდრო მაისურაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი მეუღლეთურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, დეკემბრის 22-ს ანჩისხატის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უსაყვარლესი და გონებიდან განუყრელ დის

ნინი ალექსანდრეს ასული ქურდიანი-მოლოდინის

სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდან ორმოცის დღის შესრულებისა გამო. წირვა დაიწყება 10 საათზე. 2608.

ღრმად მწუხარებულნი და გულ-მოკლული დეიდა ფატინე გიორგის ასული გვანცალაძისა ქმრით და შვილებით უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარლესი და დაუვიწყარი სამხედრო ექიმის

პლატონ ერმოლოზის ძის ვეფხვაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2610

სოციალისტ-რევოლიუციონერთა საპარლამენტო ფრაქცია ამით აცხადებს, რომ კვირას, დეკემბრის 22-ს, ქვაშვეთის წმ. გ. ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ძველი რევოლიუციონერის, საქართველოს პარლამენტის წევრის

ვლადიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლად, მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო. 2609

კვირას, დეკემბრის 22 (ახალი სტილი) ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ანა (ანეტა) სარდიონის ასული ციციშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულმწუხარი დედა ეფემია ციციშვილისა დები და სიძეები 2612.

ღრმად დამწუხარებულნი მარიამ გრიგოლის ასული და იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, დეკემბრის 22-ს, დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარლის რძლის და მეორის დაუვიწყარ მეუღლის

ნინო ალექსანდრეს ასულის ქურდიანის

სულის მოსახსენებლად ანჩისხატის ტაძარში 12 საათზე. 2613

წარმოდგენა № 6

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 23-ს,

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მესამედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფერია

ცისანათლე

(1 ნაწილი). 3 მოქ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 7 ს. მსახიობთა კავშირის დირექცია.

შზადდება „ანტიგონე“, „ტარიელ გოლუა“. მორიგ. წარ. მომ. ალ. გაჩეჩილაძე.

რეჟისორი შალვა დადიანი. 1438 თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

ქართული კლუბი

შაბათს, დეკემბრის 21 1918 წ.

ალ. მაისურაძის ქართული გუნდი (ქულაჯებში გამოწყობილი) გამართავს მომღერალ ლ. ჯანდიერის მონაწილეობით

კონცერტს

ოთხ. განყოფილებად.

გუნდი შეასრულებს სხვა და სხვა ქართულ სიმღერებს, როგორც მაგალითად— „აი სამარე, მიყვარს ფაცხა“. (სულ ახალი სიმღერა) „დაიგვიანეს“, პოპური“, „მერანი“, „ურმული“, „ბერიკაცი“ და სხ.

გუნდი სხვათა შორის დასდგამს ცოცხალ სურათებს „ნინო, ქეთევან და თამარი“-ს გალობით „დედაო ღვთისაო“. დასასრულ—სცენა—სოფლის ცხოვრებიდან, სადაც შესრულებულ იქნება: „ზამთარი მრავალ-ჟამიერ“—(კახური), სათამაშო გლეხური და სხვ. დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში, ბილეთები იყიდება კლუბის კასაში ყოველ დღე.

დასაწყისი საღამოს სრულ 7 ნახ. საათზე 2611

განცხადება

თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა, დგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულ არიან.

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1397 და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები. პირობები შემდეგია: I ყველა მოხალისე, ვინც მსახურობენ სხვა და სხვა დაწესებულებებში, ადგილები შეენახებათ II სამხედრო მოქმედების გათავებისა შემდეგ თავისუფლნი იქნებიან, III უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან—14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენერალ-მაიორი: მაღალაშვილი.

მოწოდება

რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაეხმარონ ჩვენ მეომართ რითაც შეუძლიან და მით გაუადვილონ სანგრებში ყოფნა. მოქალაქენო! შესწირეთ: ფული, შაქარი, ჩაი, სასმელი, ძაფი, წუმწუმა, ლილები და სხვა საჭირო ნივთები.

რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტი.

მისამართი: გოლოვინის პრ. № 24 ს. არაფელოვისა.

იოსებ გედევანიშვილის განცხადება

გენერალი იოსებ გედევანიშვილი მოუწოდებს ბათომის პარტიზანულ პოლკის ყოფილ ჯარის-კაცებს ამ სამს დღეში უეჭველად შეგროვდნენ ტფილისში.

კვირას, დეკემბრის 22-ს, შუადღის 12 საათზე, სოციალისტ ფედერალისტთა პარტიულ კლუბში, (სემინარიის ყოფილი შენობა)

პროფ. ივანე ჯავახიშვილი

წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე:

„საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“.

შესასვლელი ფასი 1 მან. 3 მანეთამდე

ტფილისი, დეკემბრის 21.

ავანტიურა თუ დემოკრატიზმი?

სომხის ხალხის ხელმძღვანელობამ ქართველი ერისა და რესპუბლიკის ხარჯზე თავისი გამდიდრება მოინდომეს. ეს მოულოდნელი არ ყოფილა ჩვენთვის, რომელთაც ვიცნობდით სომხის მთავარ პარტიის—დაშნაკციუთიუნის ვერაგი და მოღალატური პოლიტიკა. უკვე ომი სწარმოებს და ეს ომი, ეტყობა იქნება უსასტიკესი. აქ ორი ძალა ეჯახება ერთმანეთს—დემოკრატიული, პირდაპირი პოლიტიკა და პოლიტიკურ ავანტიურისტებისა. თუ გაიმარჯვა უკანასკნელმა—მაშინ კავკასია უნდა შეიქმნეს მუდმივ ბრძოლის და დავიდარაბის ასპარეზად, ხოლო ჩვენი გამარჯვება იქნება გამარჯვება დემოკრატიულ პრინციპებისა და იმ ლოზუნგისა, ყოველთვის რომ ეწერა საქართველოს დროშას: იცხოვრე და მეც მაცხოვრე. სომხის ავანტიურისტებს არ ჰყოფნით თავისი და სხვისის წაგლეჯას აპირებენ, ჰსურთ კავკასიაში პირველობა დაიჩემონ—თუნდ ისეთი „პირველობა“, როგორიც ჰქონიათ ვორონცოვ-დაშკოვის დროს, მათ ყველაფერთან შერიგება შეუძლიანთ ერთის გარდა—კავკასიის ერთა თავისუფლებას, მათ დამოუკიდებლობას ისინი ვერისოდეს შეურიგდებიან. მაშასადამე ჩვენ გვიხდება ბრძოლა ორის მიზნისათვის: დემოკრატიის და ეროვნებისათვის, რადგან ერთის მხრით ჩვენ გვინდა და მოვაწყოთ კიდევაც დემოკრატიული წეს-წყობილება, მეორე მხრით ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობა. ორთავე ამის წინააღმდეგნი არიან სომხები. ჩვენი იდეალია დემოკრატია და ეროვნული თავისუფლება, როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიისათვის, მათი იდეალი იყო წინად ვორონცოვ-დაშკოვი და თათრების ჟლეტა, დღეს დენიკინი და ქართველებთან ომი.

ამას წინად „ნორ-ორიზონი“ სწერდა, რომ იგი წინააღმდეგია სომხეთის დამოუკიდებლობისა, რადგან ეხლანდელ მათს რესპუბლიკაში არ შედის **სომხეთის მთელი ტერიტორია და მთელი სომხობა.** მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ეს ნიშნავს, იმას, რომ დაშნაკცაკანების სომხეთში უნდა შევიდეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო და ადერბეიჯანი, ვინაიდან იქ ბლომად სცხოვრობენ სომხები ეს იყო მათთვის საოცნებო პროექტი დიდი სომხეთისა, რომელსაც მსხვერპლად უნდა შეეწირონ კავკასიის სხვა ერები. ამას მოჰყვება მუდმივი ბრძოლა ამ ერებისა და განა ვისმე ეჭვი აქვს, რომ აქედან სომხები დამარცხებულნი არ გამოვლენ? დიახ, ისინი შეჰქმნიან ყველგან ისეთს მდგომარეობას, რანაირიც შეუქმნიათ ოსმალეთში. ამას წინად სომხის გაზეთება გამოქვეყნების გამო რომ განგაში ასტეხეს, საქართველოს მესოპოტამია უწოდეს. მაშინდელი აყალ-მაყალი ამ მხეცვარ ხალხის მიერ მოწყობილი რეპეტიცია იყო საქართველოსთან ომის გამოსაცხადებლად. ეხლანდელი მათი ლაშქრობა ტფილისის და მთელი საქართველოს დასაღუპავად არის მომართული, მაგრამ რას მიაღწევენ ამით? მხოლოდ იმას, რომ სიმპატიისათვის ყველგან მართლა მესოპოტამიას შეჰქმნიან და პირშავად დარჩებიან სამარადისოდ იმ ქვეყანაშიაც, სადაც მათ ჰნახეს სტუმართმოყვარეობა, ზრუნვა და დახმარება. მიტომ რომ საქართველო მუდამ კარგად ექცეოდა მათ, არ არჩევდა თავის ანებში და თუ ეს ვერ დააფასეს, თუ მადლობის მაგივრად მახვილის ჩაცემა მოგვინდომეს ქურდულად—ქართველი ხალხი ამას არ დაივიწყებს და მომავალში უფრო ფრთხილად მოექცევა ჩვენს შინაურს მტრებს.

ჩვენ ნდობით ვეპყრობოდით სომხებს და ისინი იყვნენ მილიციაშიაც, სახალხო გვარდიაშიაც. ეხლა აღმოჩნდა რომ ესენი ჩვენი იარაღით აღჭურვილნი და ჩვენს ხარჯზე მცხოვრებნი თურმე საკუთარის საქმისათვის ზრუნავდნენ. გაზეთებში დაბეჭდილია ცნობ, რომ ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიელებმა უარი სთქვეს ფრონტზე წასვლაზე და მათ იარაღი აჰყარეს. იარაღი აჰყარეს აგრეთვე სომეხ მილიციონერებს, რომელნიც სანდონი არ აღმოჩნდნენ და სხვ.

ჩვენს ხალხს კარგად ესმის, თუ რა საფრთხე მოელის მოუსვენარ მეზობლებისაგან. იგი აღშფოთებულია მისი ვერაგობით და მზაკვრობით და ხალისით მიდის მის წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი პროვინცია შეიძრა და იმედია, სომხების ეს ავანტიურაც ისე ჩაივლის, რანაირადაც ჩაუვლია არა ერთს მათს ავანტიურას.

ჩვენ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და სამუდამოდ უნდა მოუსპოთ სომხების შოვინისტებს ჩვენს ენ, ჩვენი დედა ქალაქისაკენ მომართული ლაჯი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავუკარგოთ ამ ხალხს ყოველგვარი ხალისი და შესაძლებლობა საქართველოს დასაღუპავად ამოძრავებისა თუ კი ერევნის ავანტიურისტებმა არ დაინდეს აქაური სომხები, არ მიიღეს მხედველობაში, თუ რა ტრაგიკულ მდგომარეობაში აგდებდნენ მის უმრავლესობას—პასუხის მგებლობა თავიდან გვეხსნება ყოველგვარ შედეგებისათვის. საქართველო სცოცხლობს და იცოცხლებს. თუ მისი ეს სიცოცხლე ვისიმე ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუ ჩვენი სიცოცხლე ვისთვისმე მომაკვდინებელია, როგორც ამას სომხის შოვინისტები ჰფიქრობენ და თავს გვესხმიან—ისიც უნდა იცოდნენ, რომ სასტიკად ვიბრძოლებთ და ჩვენი მოსისხლე მტრების წინააღმდეგ ჩვენ ვიქნებით დაუნდობელნი და შეუბრალებელნი. ქართველი ერი ასე ჰფიქრობს და შესძლებს კიდევაც აასრულოს თავისი ფიქრ-ზრახვანი. ამას მოწმობს ის გმირობა, ჩვენი ლაშქარი რომ იჩენს ბრძოლის ველზე, და მომავალშიაც გამოიჩენს. გამარჯვება ჰხვდება დემოკრატიას, დაიღუპებიან ავანტიურისტები.

სომხური სიტყვა და საქმე

სომხური პრესა სცდილობს როგორმე ისეთი საბუთები გამოძებნოს, რომელთა ძალითაც შესაძლებელი გახდება რამენაირად გამართლება იმ საშინელი დანაშაულობისა, რომელიც სომხეთის მთავრობამ ჩაიდინა. მაგრამ საბუთები ერთი მეორის საწინააღმდეგო, ერთი მეორის უარმყოფელი გამოდის და სწორედ ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს უტყუარ საბუთად იმისა, რომ ეს საბუთები ვერ საბუთობენ. ასე, მაგალითად, გაზეთი „აშხატავორი“ სწერს: „აშკარად სრულიად ბათილდება ის ზღაპარი, რომ 1) აქ სომხეთის მთავრობის მხრით რაიმე „ღალატი“ და „გაცემა“ მოჰხდა, 2) ვითომდა სომხური ჯარები რაიმე სახით მონაწილეობას იღებდნენ იმ წმინდა ადგილობრივ გლეხურ მოძრაობაში, რომლის მსგავსი „ამბები“ საქართველოს რესპუბლიკაში, თვით ქართველ-ეროვნულ წრეებში ბევრი გვინახავს ამ ერთი წლის განმავლობაში, და ლორისა და ბორჩალოს სოფელ ქართველ შეტაკება თავისი ხასიათით და განვითარებით არაფრით არ განსხვავდება ამ მრავალ-რიცხოვან წმინდა ხალხურ-სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ აჯანყებიდან“.

ამ რიგად „აშხატავორი“-ს სიტყვით და დამაჯერებლობით ყველაფერი ის, რაც ბორჩალოში მოჰხდა, ისეთივე ხასიათის გლეხური აჯანყებაა, რანაირიც პროვოკატორების ხელმძღვანელობით საქართველოს ზოგიერთ ადგილას მოჰხდა ამ რამოდენიმე ხნის წინათ. აბა ახლა ყური დაუგდეთ მეორე სომხურ გაზეთს „ჟოღოვურდი ძაინ“-ს. „საკითხი სრულიად ნათელია,—სწერს ზემოხსენებული გაზეთი,—ორი ერის შორის არსებობს სრულიად გარკვეული ეროვნული დავა განსაზღვრული ტერიტორიის გამო, რომლის საკითხი კიდევ გადაუჭრელია და რომელიც უნდა გადაიჭრას ან ერთმანეთთან შეთანხმებით, ან არბიტრაჟის საშუალებით... და ამ დროს, როცა საუკუნო მეზობლები იძულებული არიან ერთმანეთზე იარაღი აღმართონ და ერთმანეთის სისხლი ღვარონ, გაზეთებში მთავრობა ისეთი განცხადებისა, როგორიცაა სახალხო გვარდიის განცხადება, ვითომც ქართველების წინააღმდეგ იბრძვიან აჯანყებულ სომეხთა ბრბოები იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით, რომელთაც მოჰკლეს კარჩიკიანი და ახატიანი,—სრულიად უადგილოა, რადგანაც ყველასთვის თვალსაჩინოა, თუ ვისკენაა მიმართული ეს განცხადება“.

როგორც მკითხველი დაინახავს, ერთი სომხური გაზეთის სიტყვით, ბორჩალოში ჩვეულებრივი ხასიათის გლეხური აჯანყება მოჰხდა, მეორე გაზეთის სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვით კი ამ ჟამად ჩვენ საქმე გვაქვს არა აჯანყებასთან, არამედ ორი ერის დავასთან ტერიტორიის გამო. სომხურმა გაზეთებმა დღემდის ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ ერთნაირად შეეფასებინათ ის საშინელი დანაშაულობა, რომელიც სომხეთის მთავრობამ ჩაიდინა და ერთნაირად აეხსნათ ერევნის გზა-კვალ აბნეული მთავრობის გაკაჟებული ნაბიჯები. ჩვენ ორივე შემთხვევისთვის სრულიად ცხადი და გარკვეული პასუხი გვქონდა და გვაქვს. ამაზე მეტი გარკვეული პასუხის მოთხოვნა ჩვენგან სრულიად მეტია. თუ ბორჩალოში ჩვეულებრივი გლეხური აჯანყება მოჰხდა, მაშინ ჩვენ ამ აჯანყებას ისეთისავე საშუალებით ჩავაქრობთ, რანაირითაც დღემდის ვაქრობდით. არც ერთხელ ჩვენს მთავრობას შინაური წესიერების დამყარებისთვის გარეშე ძალებისთვის არ მიუმართავს და მით უფრო ეხლა ნებას არ მისცემს სომხეთის მთავრობას ვიღაცას „მიეშველოს" და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს გაზეთი „აშხატავორი", რომ ჩვენ ამ მხრივ საკმაო გამოცდილება გვაქვს და მალე ვაიძულებთ ბორჩალოს „აჯანყებულებს", თუ ისინი მართლა აჯანყებულნი არიან, თავიანთ კანონიერ მთავრობას დაემორჩილნენ და კვლავ ახარჯია და არევ-დარევა არ დასთესონ დამშვიდებულს ქვეყანაში. თუ იქ, ბორჩალოში, აჯანყებულებთან გვაქვს საქმე, მალე ჩავაქრობთ ამ აჯანყებას სომხეთის მთავრობის დაუხმარებლად და ჩავაქრობთ ისე, რომ სამუდამოდ დავუკარგოთ ხალისი აჯანყებისა.

ხოლო თუ ის, რაც ბორჩალოში მოჰხდა, აჯანყება კი არ არის, არამედ გამოხმაურებაა იმ დავისა ტერიტორიის შესახებ, რომელიც სომხეთისა და საქართველოს სწარმოებდა, მაშინაც შეიარაღებულ შეტაკებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. საქართველოს მთავრობამ გარკვეულად და ცხადად სთქვა, რომ იგი მოწადინებულია უკიდურეს შემთხვევაში არბიტრაჟით გადასწყვიტოს სადავო საკითხიო. არბიტრაჟი ისეთი ზომაა, რომელსაც შეუძლებელია გაექცეს რომელიმე სახელმწიფო, თუ იგი მშვიდობიანობის მოსურნეა და არა ომითა და მაუზერებით საკითხის გადაწყვეტისა. ეს გზა სომხეთის მთავრობამ უარჰყო და საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ომამდე მიიყვანა.

სომხური გაზეთი „ჟოღოვურდი ძაინ" სწერს: „ნათლად უნდა ვილაპარაკოთ... შეუძლებელია დღეს, როცა ჭეშმარიტება და სიმართლე უნდა ბატონობდეს, ჩვენმა ერებმა, განსაკუთრებით მათმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, შეიტანონ საქმეში ისეთი ელემენტი, რომელიც სრულიად აბნელებს ისედაც ბნელსა და სამწუხარო სინამდვილეს". ჩვენც ეს სინამდვილე და ჭეშმარიტება გვაინტერესებს. ჭეშმარიტება კი, რომელსაც სომხეთის მთავრობა ვერასოდ გაექცევა, ასეთი სწარმოებდა მოლაპარაკება სომხეთსა და საქართველოს შორის. შეთანხმება თითქმის მოჰხდა. შეთანხმება კიდეც რომ არ მომხდარიყო, მაინც დარჩენილი იყო დიდი მშვიდობიანი საშუალება სადავო საკითხების გადაწყვეტისა—არბიტრაჟი. მაგრამ სომხეთის მთავრობამ ეს გზა—გზა მშვიდობიანობისა უარჰყო: ჩაშალა კონფერენცია, შესწყვიტა მოლაპარაკება ჩვენს მთავრობასთან, მოახდინა აჯანყება ბორჩალოს მაზრაში, ქურდულად, ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს ჯარს და მერე ულტიმატუმი წარმოუდგინა მთავრობას. ნუ თუ ამის შემდეგ გამოჩნდება თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც გაბედავს და იტყვის, სომხეთმა არ დაარღვია კეთილმეზობლობა, სომხეთმა პირველად არ აიღო ხელში იარაღი, სომხეთმა არ ჩატეხა ხიდი ქართველებსა და სომხებს შორისო. ამისთანა ადამიანი თუ მას სინდისი და გონიერება კვლავ შერჩენია, ვერ გამოჩნდება.

და თუ ყველაფერი ეს მართალია, რაღა დაგვრჩენია იმის მეტი რომ ძალადობას ძალითვე არ გავსცეთ პასუხი. ჩვენ ამ საშუალებისა არ გვეშინიან ვისაც სიტყვა არ ესმის, იმას ხმლით დაველაპარაკებით. და ვიბრძოლებთ იმ დრომდე სანამ დარღვეული სამართლიანობა არ აღსდგება, სანამ ერევნის ბოროტ-განზრახველები სასტიკად არ დაისჯებიან და სანამ აღმოსავლეთით არ გავატარებთ ისეთს საზღვარს, რომელიც საბოლოვოდ და სამუდამოთ შეუძლებლად გახდის ასეთს ვერაგულს თავ დასხმას. დღემდის თუ ტერიტორიაზე გვქონდა საუბარი და საუბარის დროს შესაძლებლად ვსცნობდით ზოგიერთ დათმობას, შესაძლებლად ვსცნობდით იმიტომ რომ გულწრფელად გვწამდა სომხეთის კეთილ-მეზობლური განწყობილება,—დღეს ასეთი ლაპარაკი აღარ შეგვიძლიან. სომხეთმა გამოაშკარავა თავისი აგრესიული და ავანტიურისტული ბუნება. იგი არ მოერიდა იარაღის ხმარებას ქართველების წინააღმდეგ და ამიტომ იმავე იარაღმა უნდა გაავლოს ჩვენსა და სომხეთს შორის ისეთი საზღვარი, რომლის გადმოლახვასაც იგი შემდეგში ასე ადვილად ვეღარ მოახერხებს. ყოველივე ლაპარაკი არბიტრაჟზე ეხლა, როდესაც სომხეთის მაუზერისტებმა ასამდე ქართველი ჯარის კაცი იმსხვერპლეს და ომი გამოგვიცხადეს, ზედმეტია. ომი მაშინ გათავდება, როდესაც საქართველო თავის თავს სომხეთის ხელმეორე თავდასხმისაგან უზრუნველყოფილად ჩასთვლის.

არ. ჯაჯანაშვილი.

გაგიჟებული ავანტიურისტები!

საქართველოსადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა, რომელთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა არა სწამთ, საქართველოს ინტერესები თავიანთ ინტერესებად არ მიაჩნიათ და მოღალატურად ზურგიდან მახვილს გვარტყამენ, ერთბაშად ერთნაირი კილო შეითვისეს: ჩვენ არ ვიცით, ვინ არის დამნაშავე სომეხ-ქართველთა შეტაკებისა, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცით—ბრძოლა უნდა მოისპოს ვინც ასე ლაპარაკობს, ის საქართველოს მტერია და ჰაურს გაამართლოს ის საშინელი დანაშაულობა, რომელიც სომხეთის მთავრობამ ჩაიდინა. თუ იმათ არ იციან, ჩვენ ვიცით, ვინც არიან დამნაშავენი.

განა ამ ჟურის ვაჟ-ბატონებმა არ იციან, რომ საქართველოს მთავრობამ საჯაროდ, საქვეყნოდ განაცხადა, კონფერენცია გავათავოთ და მშვიდობიანი მოლაპარაკებით გავათავოთ საქმეო? განა არ იციან, რომ სომხის მთავრობამ ეს მშვიდობიანი გზა უარჰყო? ნუ თუ ზემოხსენებულმა ვაჟბატონებმა არ იციან, ვინ დაუშინა ლოდები რკინის გზის ლიანდაგს, ნუ თუ არ იციან, ვინ გაუჩეჩქვა ქვებით თავები ქართველ ჯარისკაცებს, ნუ თუ არ იციან, რომ საქართველოს მთავრობამ უკანასკნელ წუთამდე არც კი იცოდა ვისთანა ჰქონდა საქმე-ბანდიტებთან თუ სომხის მთავრობასთან? ყველაფერი ეს ძალიან კარგად იციან, მაგრამ მაინც გაიძახიან, არ ვიცით დამნაშავე ვინ არისო. სხვათა შორის ასეთისავე კილოთი სწერს ბ-ნი დუბროვსკის გაზეთიც. ჩვენ არ გვინდა ბ-ნი დუბროვსკის გულ-წრფელობაში ეჭვი შევიტანოთ. ვიცნობთ მას და სწორედ ამიტომ გვიკვირს, რომ უკანასკნელ კონფლიქტში მან თანასწორობის ნიშანი დასვა საქართველოსა და სომხეთის მთავრობის შორის და ვერ დაინახა ის სრულიად ცხადი, მზის სინათლესავით ცხადი ჭეშმარიტება, რომ სომხეთის მთავრობამ თვითონ მოისურვა სადავო საკითხის იარაღით გადაჭრა. ტყუილად ჰგონია ბ-ნ დუბროვსკის და ყველა იმას, ვინც დუბროვსკისებურ მსჯელობს, რომ ამნაირი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს შეუძლიან დაუსჯელად ჩაატაროს. ეს იქნებოდა უკადრობა და გაცემა იმ საცოდავი ქართველი ჯარისკაცებისა, რომელნიც სომხებმა ვერაგულად, ქურდულად მოპარვით წუთი-ოფელს გამოასალმეს და ქვებით თავები გაუჩეჩქეს. საქართველოს მთავრობამ,—რომ ასეთი ვერაგული საქციელი სომხებისა დაუსჯელი დასტოვოს, თვით ქართველი ხალხის აღშფოთებული სინდისი აღარ აპატიებს თავის მთავრობას და პასუხს მოსთხოვს. ან რა მთავრობა უნდა იყოს ის მთავრობა, რომელიც ასე ადვილად გასწირავს თავის მოქალაქეთა სიცოცხლეს; რა მთავრობა უნდა იყოს ის მთავრობა, რომელიც თავისი ქვეყნის მცხოვრებთა ხელშეუხლებლობასა და პრესტიჟს ვერ დაიცავს და ბანდიტებს გააქელვინებს.

გარდა ამისა, რა გარანტია არსებობს, რომ ვერაგული საქციელი ხელ მეორედ არ გამეორდება. როგორ? ჩვენ განა იმიტომ შევქმენით ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, იმიტომ შევქმენით დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ მუდამ პოლიტიკური ავანტიურისტების თავდასხმის შიშს ქვეშ ვიყოთ, მუდამ იმასა ვფიქრობდეთ, რომ მეზობლად მტერი გვიდგას? არა! ამისთანა მდგომარეობა ყოვლად შეუძლებელია გაგრძელდეს. ჩვენ მშვიდობიანობა გვინდოდა, მაგრამ პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა ხელში იარაღი აგვაღებინეს რადგანაც არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ ამნაირი შემთხვევები კვლავ არ გამეორდება, დანაშაულის ჩამდენნი სასტიკად უნდა დაისაჯნენ და საქართველოს ლაშქარი აღარც ჩააგებს ხმალს ქარქაშში, სანამ თავის ტერიტორია? რომელშიაც ჩვენ უკვე მთელ ბორჩალოს მაზრასა და ახალქალაქის მაზრასა ვსთვლით, არ გასწმინდავს სომეხთა ბრბოებისაგან და პოლიტიკური ავანტიურისტებისაგან

საქართველოს ჯარი აიძულებს სომხეთის მთავრობას პასუხი აგოს უდანაშაულო ჯარისკაცთა დახოცვისთვის, პასუხს მოსთხოვს იმ პარტიას, რომელმაც ჩვენს სამშვიდობო ნოტაზე პასუხი ულტიმატუმით გაგვცა. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ავანტიურისტ დაშნაკელებსა და ყველა მათ ამყოლ-დაყოლით, როგორ უნდა ულტიმატუმების წერა! მაშინ საშუალება მოგვეცემა სომხის ხალხსაც დავუმტკიცოთ, რომ მთელი ჩვენი აღშფოთება, მთელი ჩვენი შურისძიება მიმართულია არა სომხის ხალხისადმი, არა სომხეთისადმი და მის ბედნიერ პოლიტიკურ მომავალისადმი, არამედ იმ პოლიტიკურ ავანტიურისტებისადმი, რომელთაც თავიანთი ხალხი დაღუპეს და ეხლა ქართველი ხალხის დაღუპვასაც აპირებენ.

გ. ბარველი.

საქართველოს პარლამენტი

(პარასკევი, დეკემბრის 20).

თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე.** რიგს გარეშე შემოდის ახალი კანონპროექტი საქართველოს მოღალატეთათვის ყოველი ქონების ჩამორთმევის შესახებ.

კანონპროექტი რესპუბლიკის დახმათებისათვის ქონების კონფისკაციისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უცხო სახელმწიფოს საომარი მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ ან და გარეშე მტერს აქტიურ დახმარებას გაუწევს იარაღის, ფულის თუ ცნობების მოწოდებით ან საერთოდ ხელს შეუწყობს მტრის სამხედრო მოქმედებას, ჩამოერთვას მთავრობის დადგენილებით ყოველი უძრავ-მოძრავი ქონება რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ.

2. ეს კანონი შედის ძალაში დეკემბრის ცხრიდან 1918 წლისა,

კანონპროექტი მიღებულია უცვლელად.

სამხედრო მინისტრის მოხსენება.

სიტყვას თხოულობს სამხედრო მინ. **გრ. გიორგაძე** და ასურათებს საომარ მოქმედებას: სანაინის ფრონტზე დეკემბრის 17 მტერმა ნისლით ისარგებლა და შეტევა დაიწყო. ჩვენმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა მტერი, ვინც იყო ტყვედ წამოიყვანა, დანარჩენი მთებში გაიქცა. ტყვე ოფიცრებში ერთი რუსის ოფიცერი ერია. ვორონცოვკასთან გენ. ახმეტელაშვილის და ვ. ჯუღელის წინამძღოლობით ჩვენმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა მტერი.

დღეს ჩვენ ახალი ცნობა მივიღეთ: ახალქალაქის მაზ. მტერმა განაახლა მოქმედება ჯერ უპირატესობა ჩვენს მხარეს არის: **ჩვენმა ჯარმა მტერი უკუაქცია, ტყვედ წამოიყვანა 60 ჯარისკაცი, 2 ოფიცერი, ხელთ იგდო 2 ტყვიის მფრქვეველი და ერთი ტელეფონი** (მქუხარე ტაში).

გუშინ აგრეთვე სწარმოებდა ბრძოლა სანაინის რაიონში: მტერი შეეცადა ჩვენი პოზიციები დაეკავებინა: აქაც **ჩვენი ჯარი მედგრად დგას და მტერს ერთ ნაბიჯს არ უთმობს** (მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით აცილებს სამხედრო მინისტრს).

აფხაზთა სახ. საბჭო.

გრ. რცხილაძე (იურიდ. კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონ-პროექტს აფხაზთა სახალხო საბჭოს არჩევნებისა.

სომხური პრესა

სომხეთ-საქართველოს ომის გამო

„ჟოღოვურდ ძაინი" (№ 85) კვლავ აღშფოთებულა, რომ სისხლი იღვრება და სწერს:

„იქ (ბრძოლის ველზე) სისხლი იღვრება აქ კი ორივე მხარე იმაზე დავობს, თუ რომელი მათგანი უფრო კარგი სოციალისტი ან უფრო კარგი ინტერნაციონალისტია და სხვ.

დროა ბოლო მოეღოს ასეთ შეუფერებელ დავას.

საკითხი სრულიად ნათელია.

ორი ერის შორის არსებობს სრულიად გარკვეული ეროვნული დავა განსაზღვრული ტერიტორიის გამო, რომლის საკითხი კიდევ გადაუჭრელია და რომელიც უნდა გადაიჭრას ან ერთმანეთთან შეთანხმებით, ან არბიტრაჟის საშუალებით...

და იმ დროს, როცა საუკუნო მეზობლები იძულებული არიან ერთმანეთზე იარაღი აღმართონ და ერთმანეთის სისხლი ღვარონ, გაზეთებში მოთავსება ისეთი განცხადებების, როგორიცაა სახალხო გვარდიის განცხადება, ვითომც ქართველების წინააღმდეგ იბრძვიან აჯანყებულ სომეხთა ბრბოები იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით, რომელთაც მოჰკლეს კარჩიკიანი და აზატიანი (?),—სრულიად უადგილოა, რადგანაც ყველასათვის თვალსაჩინოა, თუ ვისკენაა მიმართული ეს განცხადება.

ნათლად უნდა ვილაპარაკოთ... შეუძლებელია დღეს, როცა ჭეშმარიტება და სიმართლე უნდა ბატონობდეს, ჩვენმა ერებმა—განსაკუთრებით მათმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეიტანონ საქმეში ისეთი ელემენტი, რომელიც სრულიად აბნელებს ისედაც ბნელსა და სამწუხარო სინამდვილეს.

დღეს აუცილებელია სიმშვიდე და კეთილ სინიდისიერება, რათა ამ მძიმე და პასუხსაგებ პოლიტიკურს მომენტში საშუალება გვექნეს გავიგოთ ერთმანეთის ნამდვილი მდგომარეობა და მშვიდობიანი გზით გავათავოთ ეს სამწუხარო კონფლიქტი, რომელიც ორივე ერს უქადის დიდი და საუკუნოდ დაუვიწყარი უბედურების თავს დატეხას".

უკანასკნელი ცნობები

სახელმწიფოთა წარმომადგენლები ევ. გეგეჭკორთან.

საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი 18 და 19 დეკემბერს ინახულეს საფრანგეთის წარმომადგენელმა და საბერძნეთის ელჩმა და ხანგრძლივი საუბარი ქონდათ მასთან.

დღესასწაული ადესაში.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ადესიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ადესის ქართველთა საზოგადოების საერთო კრებამ იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის თავი. საერთო კრებამ მოულოცავს ამ დღესასწაულს საქართველოს მთავრობას და უსურვებს აყვავებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხოლო საქართველოს მთავრობას ქართველი ერის სასარგებლოდ დღეგრძელობას მრავალ ჟამიერ".

პური საქართველოსთვის

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე კიევიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „დაიდო ხელშეკრულება 250,000 ფუთი ხორბლის მატყლზე გაცვლის შესახებ. ხორბლის პირველი პარტია უახლოეს დროში გამოიგზავნება." საქართველოს წარმომადგენელი თევზაია.

საქართველო და სომხეთის ომი

სომხების პროვოკაცია.

სომხები და მათი პრესა ავრცელებდნენ და ავრცელებენ ხმებს თითქოს ეს ომი, რომელიც მათ ძალათ თავს მოგვახვიეს, მოკავშირეების სურვილითა და მათის ნებართვით მომხდარიყოს და აგრეთვე გაავრცელეს პროვოკაციული ხმები თითქოს ინგლისელებს მოეთხოვოთ ჩვენსა და სომხებს შუა დროებითი ზავის ჩამოგდება და ბრძოლის ადგილებიდან ჯარების გამოყვანა.

დანამდვილებით გავიგეთ, რომ ეს ამბავი სომხების ჭორია და ინგლისელებსა და ფრანგებს არავითარი განზრახვა და სურვილი არც ჰქონიათ და არცა აქვთ ჩვენს საქმეებში ჩაერიონ.

მოღალატენი.

ავლაბრის რაიონის სახალხო გვარდიელებმა სომხებმა ფრონტზე წასვლის უარი განაცხადეს, რომელთაც იარაღი აჰყარეს.

ტფილისის სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

ახალქალაქიდან. ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა შორის სრული სიწყნარეა. ლტოლვილები თან და თან ბრუნდებიან თავის კარმიდამოში, ყველა ეროვნებათა შორის სოლიდარული განწყობილებაა და ძმურ-მეგობრული კავშირი დამყარდა; განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანთა ჩვენდამი დამოკიდებულება საუცხოვოა, ხერთვის რაიონის მაჰმადიანებმა გამოაცხადეს, რომ ოსმალეთმა სრულიად გაგვარცვა და გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან, რათა საერთაშორისო გზით ოსმალეთს მოსთხოვონ მთელი ზარალის ანაზღაურებაო. არტაანის ოლქის მაჰმადიანები წარმომადგენლებს გზავნიან აქაურ მაჰმადიანებთან ამბების გასაგებად ჩვენ როდის შეგვიერთებს საქართველოს. აგრარული საკითხი მწვავედ სდგას ულავერის რაიონში და ხერთვისის მაჰმადიანებმა მომთხოვეს მიმღები კომისიების გამოგზავნის დაჩქარება. განსაკუთრებით დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენ ჯარების ჯავახეთში შესვლას დუხობორები რომელთა რიცხვი ათი ათასზე მეტია: ესენი ყოველ მხრივად ეხმარებიან ჩვენს ჯარებს და ხელს უწყობენ ამ ცივ ზამთარში საზღვრის სადარაჯოებზე, სადაც აგერ ერთი კვირაა თავს გვესხმიან ალექსანდროპოლის გზიდან მოსული სომხის ჯარები. დეკემბრის 16 დილითაც შეტაკება მოხდა და მცირე ხნის შემდეგ მათი ჯარი უკუქცეულ იქმნა. სომხების მხრით მუდმივმა თავდასხმამ დუხობორებში შიშიანობა შექმნა. მე როგორც მთავრობის წარმომადგენელს მომმართეს შეგატყობინოთ, რომ ჯავახეთში მცხოვრები დუხობორების მთელი სოფელი კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ სომხების აგრესიულ ნაბიჯის გამო. მათი სიტყვით, თუ აქ სომხის ჯარი შემოვიდა, დუხობორები დასტოვებენ აქაურობას და ტფილისში გადმოიხვეწებიან. ასეთივეა მაჰმადიანთა, კათოლიკების და ქართველების სულისკვეთება, საჭიროა იცოდეთ რომ ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა რიცხვი მთელი მაზრის მცხოვრებთა 30 პროცენტს არ შეადგენს, დღეს ეს სომხები მტრულად არიან განწყობილი დაშნაკელებისადმი. ამბობენ, დაშნაკელებმა აქ მხეცობა ჩაიდინეს და სამაგიეროდ ხალხი დაისაჯა, რომლის 60 პროცენტი სრულიად ამოწყდა. მთელი მცხოვრებლები აცხადებენ რომ თუ ჯავახეთში ხელმეორედ შემოდგა ფეხი დაშნაკელების ხიზვორებმა, ჩვენ კვლავ გადავიხვეწებით ტფილისის მიდამოებში—დუხობორები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები გზავნიან ტფილისში დელეგატებს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რომ ისინი კმაყოფილნი არიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისა და ითხოვენ მის ფარგლებში დარჩენას.

მთავრობის საგანგებო რწმუნებული რუხაძე.

სახალხო გვარდიის გამარჯვება

მხოლოდ ეხლა დასრულდა სომხეთის ჯარის, რომელიც ეკატერინოფელზე უტევდა, და ჩვენი გვარდიის ბრძოლა. ბრძოლა დაიწყო დილის ექვსი საათიდან. მოწინააღმდეგემ ისარგებლა ნისლით, შემოერტყა ყოველმხრივ სახალხო გვარდიას და დაიწყო შემოტევა ჩვენს ბატარეაზე მაგრამ სახალხო გვარდიამ კონტრიერიშით მტერი დამარცხა და გააქცია ბრძოლის ველიდან.

სომხებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მთელი ველი დაფარულია მათი გვამებით.

ტყვედ წამოვიყვანეთ ბატალიონის უფროსი, რამოდენიმე ოფიცერი და ჯარის კაცები.

გაქცეული მტრის დევნა გრძელდება. ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიელი სანდრო მაისურაძე.

ყველას სულიერი განწყობილება მეტად კარგია.

ტყვე სომხები.

გუშინ დილით სადახლოდან ტფილისში ჩამოიყვანეს ეკატერინენფელდში დატყვევებული სომხები რიცხვით 58 კაცი. მათ შორის ორი ოფიცერია: შტაბს-კაპიტანი ტერ-ყაზაროვი და პორუჩიკი კარჩიკიანი და დანარჩენი ჯარის კაცები.

მობილიზაცია.

სამხედრო უწყების ცნობით საქართველოში მობილიზაცია ბრწყინვალედ სწარმოებს და გაწვეული ახალგაზრდობა დიდის ხალისითა ცხადდება.

ომის საჭიროებისათვის

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა ყრილობამ ერთ ხმად დაადგინა: ახლავე გადასცეს მთავრობას ომის საჭიროებისათვის თავისი წვლილი 30 პროცენტი თვიური ჯამაგირისა რაიც დაახლოვებით 20,000 მანეთს უდრის და ამასთანავე აღუთქვა ფიზიკური დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხისადმი

მოქალაქენო.

ომის და რევოლიუციის დროს პირველ რიგში თქვენ იდექით და ბრძოლით და სისხლით იკაფავდით გზას თავისუფლებისაკენ.

თქვენმა რაინდობამ და კლდე გულმა დაამსხვრია მონობის ბორკილები და საქართველოს ცაზედ ამობრძანდა მზე თავისუფლებისა.

თქვენ მიერ არჩეული და თქვენის ნდობით აღჭურვილი მთავრობა მხნედ და მტკიცედ შეუდგა ყოველივე იმის განხორციელებას რაც დაავალეს მას რევოლიუციამ და მისმა მედროშეებმა.

ორგულიც კი იტყვის, რომ უზარმაზარ რუსეთის სივრცეზე ერთად ერთი საქართველოა, სადაც ხალხმა და მისმა მთავრობამ გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება, შექმნეს საშინელ პირობებში სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ქარიშხლის ტალღებში დაამყარეს ერთგვარი წესიერება და მშვიდობიანობა.

საქართველო სულ რამოდენიმე თვეში გადაიქცა სახალხო რესპუბლიკად; ლაპარაკი თავისუფლებისა, თანასწორობისა, ხალხთა შორის სრული ძმობისა და სოლიდარობისა დაინთო შინ და ჩვენი სამშობლოს დიდების განთიადი უკვე გამოჩნდა.

მოქალაქენო! მტერს შეშურდა, მტერმა ვეღარ მოისვენა; მან მოინდომა ამ ლამპარის ჩაქრობა, ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვა.

ჩვენს მთავრობას არც სურვილი ჰქონდა და არც დრო სხვას შედავებოდა. ჩვენი მთავრობა მთელ თავის ძალღონეს ალევდა ახალი ცხოვრების აშენებას ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ; მეზობლებთან კი სრული მეგობრული ურთიერთობის გამტკიცებას ცდილობდა.

სწორედ ამ დროს მოგვეპარა მტერი ქურდულად და მუხანათურად ზურგში ჩაგვცა ხანჯალი.

ეს მტერია სომხეთის მთავრობა.

მოქალაქენო! თქვენ კარგად იცით ვის ხელშია დღეს ეს მთავრობა.

ესენი არიან ის პირები, რომლებსაც ყველგან შხამი და მტრობა შეაქვთ და რომ ეხლაც თვით სომხის ერის დაღუპვისაკენ მიაქანებენ. აი ამ მტერმა მოინდომა დღეს ჩვენი სამშობლოს და ჩვენი თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა.

თუ მტერმა გაიმარჯვა, იცოდეთ, უნდა გამოვეთხოვოთ მაშინ რესპუბლიკას, სამშობლოს, თავისუფლებას და თანასწორობას.

ეს კიდევ ცოტაა: შერცხვენილებს, თავლაფ დასხმულებს ყველა პირში ჩაგვაფურთხებენ და გვეტყვიან, —შორს ჩვენგან, თქვენ ღირსი არა ყოფილხართ თავისუფლებისა.

საქართველოს რესპუბლიკის არწივებო! შემოკრბით თქვენი მთავრობის გარშემო და დაანახვეთ მუხანათ მტერს, რომ თქვენს ჰკანგებს შეუძლიათ დღეს თქვენი სამშობლოს და თავისუფლების მტერთა დაფლეთა.

აინთეთ ცეცხლით გული, გაიმსჭვალეთ ერთის ფიქრით, ერთის გრძნობით და შედგრათ, ელვის სისწრაფით ეკვეთეთ თქვენი თავისუფლების მტერს ქართველურად, მამაცურათ, როგორც შეშვენის ჭეშმარიტ დემოკრატებს და რევოლიუციონერებს.

მოქალაქენო! მობილიზაცია გამოცხადებულია და ჩვენი მთავრობა იწვევს რესპუბლიკის და თავისუფლების დასაცავად 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში დაბადებულთ.

მაგრამ გვწამს, რომ თქვენ შორის გმირები გაცილებით მეტია.

თქვენი შეგნება, თქვენი სინიდისი და რევოლიუციის ქარ ცეცხლში გაკაჟებული გული გეტყვით თქვენ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ დღეს. გაითვალისწინეთ ის მონობა და საშინელი დამცირება, რომლითაც გემუქრებათ ავაზაკურად შემპარავი მტერი.

მოიგონეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეწირულთა წმინდა საფლავები და თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ რა არის დღეს თქვენი ღვთიური მოვალეობა.

სწრაფათ გაჩნდებით ყველა, ვისაც მთავრობა გიწვევთ ჯარში სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად, სხვები კი მოხვალთ მოხალისეებად, რომ საერთო ძალ-ღონით და ერთის დაკვრით გაუქარწყლოთ მტერს მისი იმედები.

მოქალაქენო! სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ არავითარ მტერს მისი დამარცხება არ შეუძლია!

დღეს გამოჩნდება, რამდენად გიყვართ სამშობლო და თავისუფლება.

გამარჯვება, დიდება და უკვდავი სახელი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლებს?

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი **გ. გიორგაძე.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

ღირს 1919 წლისთვის: 1 წლით 140 მანეთი, ნახევარი წლით 75 მანეთი, სამი თვით 40 მან., 1 თვით 15 მანეთი. ნომერი ღირება სოფლად და ქალაქად 80 კაპ., რკინის გზის სადგურებზე—1 მან.

ხელის მომწერთ ვადამდე ფასი არ შეეცვლებათ რანაირადაც უნდა შეიცვალოს გაზეთის პირობები.

საფოსტო მისამართი: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, სასახლის ქ. № 6 „სახალხო საქმის" რედაქცია. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.

მოსკოვის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

კარნაფონი. დეკემბრის 18. ინგლისური რადიოს ცნობით გერმანიის საბჭოთა პირველი ყრილობა ზომიერთა გამარჯვებით დასრულდა. ლიბკნეხტი და როზა ლიუქსენბურგი ყრილობაზე არ დაუშვეს.

ესენი. დეკემბრის 16. კრუპპის ქარხნების დირექტორმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ქარხნები მოკავშირეთა ჯარმა დაიკავოს.

ვარშავა. დეკემბრის 16 მოკავშირეებმა პილსუდსკის მთავრობასთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს. **ლიონი.** დეკემბრის 18 ლისაბონში პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი მძიმეთ არიან დაჭრილნი.

კარლსრუე. დეკემბრის 16 სტრასბურგთან ფრანგების ტყვია-წამლის საწყობი აფეთქდა. მსხვერპლი დიდია.

ნაუენი. დეკემბრის 16 პოლონეთის მთავრობამ დაავალა დანიის მთავრობას დაიცვას პოლონელების ინტერესები ბერლინში.

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

სურსათით დაკმაყოფილება.

დეკემბრის 18. მოკავშირეების განკარგულებაშია ევროპის სურსათით დაკმაყოფილების საკითხი. პირველ რიგში დაკმაყოფილდებიან მოკავშირე სახელმწიფოები. მეორე რიგში ნეიტრალურს და შემდეგ წინააღმდეგე სახელმწიფოებს.

ბულგარეთში.

ბულგარეთთან ტელეგრაფით დამოუკიდებლობა ფაქტიურად ერთი კვირაა რაც შესწყდა. სოფიიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანული ცნობა მეფე ბორისის ტახტიდან გადადგომის გაქცევის და რესპუბლიკანურ მთავრობის შედგენის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. დღესაც მეფობს და შეთანხმებით მუშაობს დემოკრატიულ კაბინეტთან, რომლის სათავეში სდგას ტოდოროვი.

ოსმალეთის ჯარის დანებება.

ანდენ ჰინტერლანდთან მომქმედ ოსმალეთის ჯარის უფროსი და მისი შტაბი დაგვნებდა.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს პარლამენტის ქვესტორმა** სერგო ქორქოლიანმა პარლამენტის პრეზიდიუმს თხოვნა წარუდგინა, სადაც იგი ითხოვს გაანთავისუფლონ თავის თანამდებობიდან, ვინაიდან იგი, როგორც ყოფილი მხედარი ბრძოლის ასპარეზისაკენ მოემგზავრება სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოსახდელად.

◆ **საბერძნეთის საკონსულო სოხუმის** რწმუნებულს კ. დ. სპირაატუს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო კვლავ დაბრუნდეს სოხუმში და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ **მაღლაკელიძე.** ტფილისში ჩამოვიდა ტფილისის გუბერნიის კომისარი და თელავის და გორის გენერალ გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

◆ **ჩხრეკა.** გუშინ ტფილისის ზოგიერთ უბნებში ჩხრეკა სწარმოებდა.

◆ **პირველი მსხვერპლი.** გუშინ ტფილისში დაასაფლავეს სომხებთან ბრძოლაში მოკლული პირველ ცხენოსან პოლკის კორნეტი ანდ. დადიანი. დასაფლავებას აუარებელი ხალხი და ჯარი დაესწრო.

◆ **მუშათა სახლში.** სხდომა გაიმართა დეკემბრის 19 ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ევგ. გეგეჭკორმა ვრცლად გააცნო სომხების მუხანათობის ამბავი და შემდეგ ნოე ჟორდანიამ დაამტკიცა, თუ როგორი პოლიტიკა აქვს სომხებს, და მოუწოდა ბრძოლისაკენ. საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომ სომხეთის მთავრობამ არ მოინდომა მშვიდობიანად გადაწყვეტა საკითხისა და მთელი პასუხის მგებლობა შედეგებისათვის მას ედებაო.

◆ **პროფესიონალური** კავშირი „პროლეტარიევ იგლი" იწვევს დელეგატების კრებას კვირას, დილის 10 საათზე 22 დეკემბერს, კავშირის დარბაზში ელიზბარის ქ. № 14. პირველი ოთახში ამხანაგებმა მკერავებს და მექუდეებს სთხოვენ მობრძანდნენ უთუოდ.

◆ **აფთიაქებში მომუშავეთა კრება.** შაბათს, დეკემბრის 21 საღამოს შვიდ საათზე პროფესიონალური კავშირების (სასტ. ბომონდი) დანიშნული აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის საერთო კრება. თუ შვიდ საათზე არ შესდგა კრება წევრთა მოუსვლელობის გამო, კრების დასაწყისი დაინიშნება 8 საათისათვის. დღიური წესრიგი: მომენტის საკითხი.

◆ **ალ. მაისურაძის კონცერტი ქართულ კლუბში.** დღეს, დეკემბრის 21 ალ მაისურაძის ქართული გუნდი. მომღერალ ჯანდიერის მონაწილეობით გამართავს კონცერტს ოთხ განყოფილებად გუნდი შეასრულებს სხვა და სხვა ქართულ სიმღერებს და დასდგავს ცოცხალ სურათებს სიმღერა-გალობით. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

◆ **ახალი წიგნები.** გამოვიდა და იყიდება „იგავ-არაკნი კრილოვისა", აკაკის თარგმანი, ფასი 6 მ. 20 კ. აგრეთვე დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად „ფიზიკა" ხუციშვილისა და „ალი" ლომაურისა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემა.

◆ **კრება მე-9 უბანში.** კვირას, დეკემბრის 22 მე 9-ე საუბნო სასურსათო კომიტეტის შენობაში, დღის 11 საათზე, დანიშნულია ჩერქეზიშვილის მე 4-ე რაიონის წარმომადგენელთა კრება. (მე 4-ე რაიონი შეიცავს რკინის გზის ლიანდაგსა და ჩერქეზიშვილის ქუჩის შუა მე 9-ე უბნის საზღვრებში მოქცეულ სივრცის მცხოვრებთ). კრების საგანს შეადგენს: მიმდინარე საქმეთა შესახებ მოხსენება და რაიონის გამგეობის გამოცვლა.

◆ **კრება.** დღეს, დეკემბრის 21, საღამოს 6 საათზე სასახლეში პარლამენტის ქვესტორის კაბინეტში დანიშნულია „სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებათა ლექტორთა" კრება. გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

◆ **კვირას დეკემბრის 22 დღის 12 ს.** პროფესორი ივ. ჯავახიშვილი კითხულობს ლექციას პარტიულ კლუბში ლორის-მელიქოვის ქ. № 1. შემდეგ თემაზე: ქართველ სომეხთა სადავო ადგილების შესვლა არა წევრთათ. ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა შეუძლიან. ფასი მოწ. 1 დანარ 3 მ.

◆ **ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევა** დაიწყება დღეს, დეკემბრის 21-ს.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში ჩვენ გაგვეშვათ საარტისტო თეატრში მზადდება წარმოსადგენად—მუსლიმანთა დრამატიულ საზოგადოების „იტტიხად"-ის კომიკ მსახიობის ა. ალიმ ბაროვის საბენეფისოდ ცნობილი ისტორიული დრამა ნადირ შახი-აფშარი, მაგრამ ალიმ ბაროვის საბენეფისოდ კი არ არის, არამედ აზიმ ბეკოვის საბენეფისო არის.

გუშინდელ ნომრის ახალ ამბავში აღნიშნული იყო რომ სოც.-დემოკრ. ცენტრ. კომიტეტის წინააღმდეგ სტუდენტთა კრებამ პლოტესტი გამოიტანაო. კრების თავმჯდომარე გვთხოვს განვაცხადოთ რომ ამ პროტესტისთვის სოც.-დემოკრ. სტუდენტებს ხმა არ მიუციათ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ი. ბარათაშვილის სიტყვა. ოთხშაბათის კრების ანგარიშში შეცდომით გამოტოვებული იყო ამხ. ი. ბარათაშვილის სიტყვა. მან მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა სომეხ-საქართველოს ომის გამო და მოუწოდა დამსწრეებს-რომ მთელი ენერგიით შეებრძოლონ შემოსეულთ. ამ ავანტიურაში დამნაშავეა სომხის მთავრობა, დამნაშავეა დაშნაკციუთუნი, მაგრამ დამნაშავეა აგრეთვე სომხის ხალხი იმით, რომ იგი პროტესტს არ აცხადებს ავანტიურისტების მოქმედების წინააღმდეგაო.

ორატორის მხურვალე ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას.

სოც.-ფედ. მოწაფეთა საერთო კრება. კვირას, დეკემბრის 22 დილის 11 საათზე დანიშნულია ტფილისში მყოფ სოც-ფედერალისტ მოწაფეთა საერთო კრება ფრიად სასწრაფო საკითხების გასარჩევად. ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ ამ კრებას.

ტფილ. მოწაფეთა კომიტეტი.

სოფლად და ქალაქად

მ. სიკაძე.

◆ თელავის მაზრის დრ. გენერალ-გუბერნატორმა შ. მაღლაკელიძემ კონტრიბუცია დაადო თელავს 100,000 მანეთი და მაზრას 100000 მან.

ამის შესახებ ამ შინაარსის განცხადებები გამოაკრეს თელავის ქუჩებში. „ვინაიდან ძვირად ჯდება შენახვა იმ სამხედრო ძალებისა, რომლებიც იმყოფებიან ჩემ განკარგულებაში ყაჩაღთა და მათი აგენტების დასაჭერათ, მე ვადებ სამხედრო გადასახადს მდიდარ მცხოვრებლებს ქ. თელავში და მის მაზრაში სულ 200,000 მანეთი. აქედან თელავს 100,000 მან. მაზრას 100,000 მან.

განაწილება ამ გარდასახადებისა თელავში ევალება ქალაქის თვითმართველობას, მაზრაში—კი სამაზრო კომისარს. ეს ჩემი ბრძანება უნდა იყოს შესრულებული სწრაფად და დაუყოვნებლივ.

◆ ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ახალი ნიხრი ხორცზე, რომლის ძალით 1 გირ. უნდა გაიყიდოს: ძროხა—3 მან, ცხვარი 3 მ, თხა 2 მ. 50 კ. კამეჩი 2 მ. და ღორის ხორცი 4 მანეთი.

ტფილისის ფარმაცევტთა საყურადღებოდ.

გამართლდა [illegible]! ავანტიურისტულ, ორ სკამზედ მჯდომ, შავრაზმელ პარტიის დაშნაკცუთიუნის მეთაურობით, სომხის ერმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას, რომ მას არ ძალუძს რომელიმე ერთან კეთილ-მეზობლური განწყობილება ჰქონდეს და მუხანათურათ თავს დაესხა ჩვენს მრავალ-ტანჯულ, მაგრამ დღეს თავისუფალ საქართველოს და ქურდულად ზურგიდან მახვილი ჩასცა.

ამხანაგებო! დადგა სერიოზული მომენტი, განთავისუფლებულ ამირანს ხელ ახლა უპირებენ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვას. ირკვევა, ერთის მხრით სამხრეთ რუსეთის შავრაზმელთა და მეორე მხრით სამხრეთ ამ.-კავკ. რეაქციონერთა, რომელთაც „არც თავის და არც სხვისი დამოუკიდებლობა არ სწამთ", მათ შორის კავშირია, რომელთაც თავის ბინძურ მიზნათ დაუსახავთ საქართველოს თავისუფლების მოღრჩობა, მისი დემოკრატიის დამონება, მაგრამ ამის ნებას ჩვენ ვერავის მივსცემთ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ, რომ ან შევინარჩუნოთ თავისუფლება და ან სასახელოთ ბრძოლის ველზე დავხოცოთ. ამისათვის საჭირო არის მთელი დემოკრატიის ამოძრავება, ყველა ვალდებული არის მთელი თავის ძალ-ღონით შეეწიროს სამშობლოს ამ განსაცდელის ჟამს, საჭიროა მოხდეს კოორდინაცია მთელი ცოცხალი ძალებისა, რომ მტერს დაუმტკიცოთ: ანგარიშში სასტიკად სცდება, რომ რევოლიუციაში გამოწრთობილი ქართველი დემოკრატია, თავის და სამშობლოს თავისუფლებებს ასე ადვილად არავის დაუთმობს.

ამხანაგებო! ჩვენც მიუმატოთ ჩვენი მცირე ძალ-ღონე თავისუფლებისათვის მებრძოლ რაზმს, ჩვენც ავიღოთ ხელში თავისუფლების დროშა და გავეშუროთ იქ, სადაც წყდება ძვირფას სამშობლოს და ჩვენი თავისუფლების ბედ-იღბალი. ამას მოითხოვს თქვენგან საქართველო, ამასვე მოითხოვს თქვენი კლასიური ინტერესებიც.

მაშ! მოდით ამხანაგებო დეკემბრის 21 საღამოს 8 საათზე დანიშნულ ადგილობრივ ფარმაცევტთ საზოგადო კრებაზე: იქ ვიმსჯელოთ და გამოვნახოთ საშვალება, რითაც შეძლება გვექნება, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სამშობლოს დაცვის სალაროში.

ი. მიქაბერიძე.

ეპიზოდები გამ. პარტიზ. რაზმის ცხოვრებიდან

(შემდეგი)

აქედან აწყურის პოზიციებზე მოვხვდით. სოფ. ღვირი, ძგვარი, ტაძრისი, მგონი საკირე, თისელი და აწყურის მიდამოები, აი სად გავატარეთ კიდევ ბევრი მღელვარე და ხალველ-ჯარევ სიამით მოსაგონარი წუთები, დღეები და კვირეები.

ოც მაისს მივედით ჩვენ იქ ბორჯომიდან და იმავე ღამეს ჩვენს რაზმს საოპერაციოდ არგუნეს ხშირტყიანი მთაგორები მარცხენა ფრთაზე.

მზვერავებს ისევე გვიბრძანეს იმ საღამოსვე დათვის თავზე ასვლა და საფუძვლიანი დაზვერვა მტრისა, რომელსაც ამ მთის კალთებიდან მთელი მოცვებიანი მინდორი გადაეთხარა თვით აწყურამდე და იქ ჩამჯდარიყო.

მგონი თვეზე მეტი იდგა იქ ჩვენ მისვლამდე სულ ათას ხუთასამდე ჯარისკაცი, მაგრამ ბრძოლას არ იწყებდნენ. ახალციხეში კი მომწყვდეული იყო ჩვენი ჯარი და შველას ელოდა.

საღამოს რვა საათიდან თერთმეტ საათამდე ვიხეტიალეთ ამ ტყე ღრეში, შევისწავლეთ მდებარეობა და დავბრუნდით. მტერს არ შევხვედრივართ.

იმ ღამესვე თორმეტს თუ პირველ საათზე ღამისა, ხელმეორეთ გვიბრძანეს ჩიტის კიბეზე ასვლა. მთელი ღამე ვიარეთ ამ ტყეში, თითქმის გვერდი ჩავკარით ჩიტის კიბის კალთებში გაფანტულს თათრებს და დილის რვა საათზე, [illegible] ავფოფხდით ჩიტის კიბის თოვლიან მწვერვალზე რვა ათასი ფუტის სიმაღლეზე. მთელი დღე და ღამე უჭმელები ვიყავით და არც დაგვიძინია. იქვეთან იყო აგრეთვე პირველი ასეული, რომელიც იქიდან უნდა ძირს დაშვებულიყო და თავზე წადგომოდა მტრის თხრილებს.

ამ პირველ ასეულში იყვნენ სხვათა შორის ის კვირია ტრაგიკულად დაღუპული სოფ. მისაქციელის სტუდენტი ქუთათურიძე, სტ. გ. ბეროძნიშვილი, რომელიც საუცხოვო და სამაგალითო ჯარისკაცი გამოდგა, დუშელი ამხანაგები, კეკუჯია, რომელსაც მიზნად გაეხადა აჭარაში და ბათუმში შესვლა; ამ აზრით იყო გატაცებული, იგი ვერც კლდიდან გადაჩეხვამ და ვერც გვერდების ჩალეწვამაც ვერ გამოაფხიზლა და მგონი დღესაც პოლკთანაა სოჭაში; იქ იყო დუშელი ამხ. ძველი ჯარისკაცი შარმადინი. რომელიც ტყეში ბრძოლის დროს ზედ წააწყდა მტერს, მაგრამ არ დაიბნა, თოფის სროლით იერიშზე გადავიდა და თან იძახოდა: „ურა ბატალიონო", თუმცა იქ თითქმის მარტო იყო. სამწუხაროდ ბრძოლის დღეს მე სხვა ადგილას მოვხვდი და პოლკის ნაწილებში ვინ რას აკეთებდა არ დამინახავს. ჩემს

თვალწინ ორმოციოდე კაცი მოქმედებდა იმათგან ყველასი გვარებიც არ დამახსოვდა·

ნაბრძანები გვქონდი მზვერავებს, ჩიტის კიბეზე მჯდარვიყავით, სანამ დაბლა ბრძოლა არ დაიწყებოდა მერე იქიდან დაგვეკრა მტრისთვის. ვიცადეთ ნაშუადღევის პირველ საათამდე, მაგრამ ბრძოლა არ იწყებოდა. ბოლოს მოთმინება დაგვეკარგა და ერთი დიდი ყუმბარა გადაუშვით კლდიდან. მის გრიალს გამოეხმაურა დევარიდან კაპ. მგალობლიშვილის ზარბაზანი. იმ არტილერიაში იყვნენ ჯარისკაცებად ახლანდელი ჩვენი ელჩი ადერბეიჯანში ნ. ქარცივაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი გ. ნანეიშვილი.

საუცხოვოდ მოქმედებდა არტილერია. ზედიზედ აფეთქა მარჯვენა ფრთაზე მტრის თხრილები, საიდანაც თათრები ფაცხა-ფუცხით გარბოდნენ.

არტილერიის გაკვალულ გზას მისდევდა ტყვიის მფრქვეველთა ჰაზჰახით ცხენოსანთა მეორე პოლკი და თითქმის ორი საათის განმავლობაში აწყურის გადასახედზედაც მივიდნენ.

საუცხოვო სანახავი და სასმენი იყო შორიდან, უშიშარ ადგილიდან ზარბაზნების ღუღუნი და თოფთა და ტყვიის მფრქვეველთა ჩხრიალი.

დიაღ, საუცხოვო მუსიკაა რომ მოკვლა არ იცოდეს.

ხდუმდა მხოლოდ ცენტრი, სადაც იდგა რვაასამდე გვარდიელები ხაშურისა, ქვიშხეთისა და ახლომახლო სოფლების „დიკაია დივიზია“ და ჩვენი მარცხენა ფრთა. თურმე ცენტრი უარს ამბობდა იერიშზე და ჩვენები კი თოფის ქვეშ მხოლოდ ასორმოცი კაციღა იყო.

ასე ორ საათზე ამოძრავდა ჩვენი მარცხენა ფრთაც და ლაწა-ლუწი დაიწყო ტყემ, თითქოს მდევი მოაბიჯებსო. აქ ველარ მოვითმინეთ და სანაიამ პორ. სამუშია გაგზავნა დაბლა ურთიერთობის აღსადგენად ჩვენს ასეულებთან და შტაბთან. ა. ჰუმბაძე, ონ. აბელდიანი, მეიფარიანი, გვენეტაძე, სამი გურული ყმაწვილები, რომელნიც ოზურგეთთან შემოუერთდენ ჩვენს რაზმს: ორი ზაქარიაძე და ლომინაძე და მე გამოვყევით სამუშიას. სხვები კი დარჩენ ზევით სანაიასთან. ერთად—სიარულით ჩამოვირბინეთ ეს ორი ვერსტის სიმაღლე ბევრჯერ დათვივით დავგორდით და როგორც იყო ჩამოვედით, მთის ძირას წავაწყდით ი. გედევანიშვილს თავისი შტაბით. სამუშიამ მოახსენა მოსახსენებელი, უფროსმა ახლა სხვა დავალება მოგვცა. აი, შუა მინდორში ხევში. სოფელია თისელი, იქიდან გვესვრიან, წადით და აილეთო.

არ ვიცი რა გაიფიქრა ჩვენმა გამოცდილმა ოფიცერმა, მის სახეზე არაფერი წამიკითხავს გარდა იმისა, რომ იგი მზათ იყო თუნდაც მარტო წასულიყო. ჩვენ კი გამოუცდელებს (რამდენიმე ამხანაგი ომებში ნამყოფნი იყვნენ) ძლიერ გაგვეხარდა, რომ „სოფელი უნდა აგველო“ და სირბილით გავსწიეთ. სოფლამდი ვერსტნახევარი იქნებოდა.

იმ დღეს არ. ჰუმბაძე ძალიან ატეხილი იყო: „თუ დღესაც ვერ მივაჩავებით ბრძოლაში, მე მზვერავობას თავს დავანებებ და ასეულებში გადავალო“ ბუზღუნებდა იგი, თითქოს გრძნობდა რაც უნდა მოსვლოდა იმ დღეს რამოდენიმე საათის შემდეგ.

გავირბინეთ რამოდენიმე მანძილი და უცებ გაისმა სამუშიას ბრძანება „დაწექით“-ო. გაგვიკვირდა, მაგრამ დავწექით; ახლა წოლელა გასროლა გვიბრძანა, მერე ისევ აგვაყენა და გაგვაქცია, კიდე დაგვაწვინა აქ კი პროტესტი განვუცხადე: რაღათ გვაწვენ წამდაუწუმ მეთქი, მაგრამ უცებ დავრწმუნდით, პროტესტის უსაფუძვლობაში.. რამოდენიმე ტყვიაში თავზე გადაგვიარა წუწუნით და სტვენით. სამუშია გაბრძობდა სხვა და სხვა ბრძანებას და ასნაირი ღიმებით და სიცილით წინ ვრბოდით. უცებ, ასე ერთ არშინის მანძილზე დავინახე რაღაც შავი წერტილი და ძლივს მოვასწარი „დაწექით“ მეთქი, რომ თავზე ტყვიამ გადაგვიარა. ოფიცრებმა და ამხანაგებმაც სიცილი მაყარეს, ტყვიას როგორ დაინახავდიო, მაგრამ მე დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ტყვია დავინახე.

ერთმა დაწოლამ ერთი დიდი ხის ძირში მოგვიწია, სამნი მოვეფარენით, მაგრამ იმავ წუთს შიგ ხეს მოხვდა რამოდენიმე ტყვია. აღარ ხუმრობდნენ, ნიშანში ამოგვიღეს, ჩვენც ჩავწექით და დავაყარეთ ცოტა ხანს. შემდეგ ისევ წამოვცვივდით და სროლით შევედით კიდეც სოფელში. ხევ-ხევ უკვე მოესწროთ გაქცევა და არავინ დაგვხვდა. ჩადავლად დაგვრჩა ერთი ირმის რქა და რამდენიმე სხ. რქას კარგა ხანს დავათრევდი, მაგრამ მალე ისეთი სიცხე მოგვაყენეს, რომ რქა კი არა, კინაღამ თავი არ დავკარგეთ, სხვების ნახვა გაგვეხარდა დამშეულებს, მაგრამ ფუტკრები ადამიაებზე მამაცნი გამოდგნენ და კუდით ქვა გვასროლინეს. ფუტკრებთან ომში ვიყავით გართული, როდესაც გორაკიდან ჩამოირბინა სტუდენტმა კ. კობახიძემ, რომელიც ტყვიისმფრქვეველებთან იყო და გვითხრა: „სოსო გეძახითო“. ჩვენც იქითკენ გავსწიეთ, სადაც ჩვენი ტყვიის მფრქვეველები ჩამწკრივებულიყვნენ და ჰახჰახებდნენ. სამუშია მივიდა უფროსთან, ჩვენ კი იქვე დავეყარეთ დაქანცულები და ვუცქეროდით ტყვიისმტყორცნელების საუცხოვო მუშაობას.

პარტიზანი.

ახალციხის ამბები

(საკუთ. კორესპონდ.)

3 ნოემბერი.

ეტყობა, ბეგებს შორის განხეთქილებაა. დღეს მათ ციხეში კრება ჰქონდათ. კრებას დაესწრენ ხალით-ბეი და ჯემალ-ფაშა ხიმშიაშვილი. კრების გადაწყვეტილება არ ვიცით, მხოლოდ კრების გათავებისას ბეგები დაღვრემილნი იყვნენ.

4 ნოემბერი.

როგორც გადმოგვცეს, გუშინდელ სხდომაზე ბეგებს უთხოვნიათ ხალითბეისთვის: ქალაქი თავისი მაზრით ჩვენ გადმოგვეცაო, მაგრამ თხოვნა ხალითბეის არ შეუწყნარებია და უთქვამს: ქართველებისაგან ჩავიბარეთ ქალაქი და ისევ ქართველებს უნდა ჩავაბაროთო.

5 ნოემბერი.

ბეგები არ სცხრებიან. დღეს მათ თავიანთი მთავრობა შეადგინეს: მინისტრ-პრეზიდენტი ომარ-ეფენდი, სამხედრო მინისტრი სერვერ-ბეგ ათაბეგოვ-ქიბლიანსკი, მიწადმოქმედების მინისტრი რიზა-ბეგ ავალოვი და შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრი მურსალ მუსაკიევი. უკანასკნელი ტომით ლეკია, მან თათრული ენა სრულებით არ იცის. რევოლიუციამდე იგი ბოქაულად იყო ურავლის საზოგადოებაში. მაჰმადიანთა არეულობაში მან დიდი როლი ითამაშა ოსმალეთის სასარგებლოდ და მთლად დალუპა მაჰმადიანთა შეუგნებელი ხალხი. დღესაც იგი ხცდილობს თავის-დაჯიბის სასარგებლოდ დედა-მიწასთან გაასწოროს სამაჰმადიანო საქართველო, მაგრამ იმედია, როგორც მუსაკიევის, ეგრედვე ბეგების თარეშს და ავანტიურას მალე მოეღება ბოლო.

8 ნოემბერი.

დღეს მესამე დღეა, რაც სომხების მეთაურობით კერძო კრებები იმართება ქალაქის თვითმართველობაში ბეგებთან ერთად. რა თქმა უნდა, სომხების მიზანია შეერთდნენ მაჰმადიანებთან და არ შემოუშვან ახალციხეში ქართველები. ასეთი შეერთების წინააღმდეგ დღევანდელ კრებაზე სიტყვა წარმოუთქვამს ექიმ აივაზიანს-ყოფილ 1-ლ სახელმწიფო სათათბიროს წევრს. გამოიღო თუ არა რაიმე ნაყოფი ექიმ აივაზანის სიტყვამ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

9 ნოემბერი.

დღეს ყარსიდან მოვიდა ხუთი ფრანგი ტყვე, მათ შორის ერთი ოფიცერი. ტყვეები სტამბოლით აპირებენ წასვლას სამშობლოში.

10 ნოემბერი.

„მინისტრი“ მურსალ მურაკიევი და ქალაქის საავადმყოფოს ექიმი ბალდასარიანცი წავიდნენ ახალქალაქისაკენ. დანამდვილებით გადმოგვცეს, რომ ისინი მიდიან ადერბეიჯანში, სადაც უკანასკნელის მთავრობასთან უნდა იშუამდგომლონ, რომ ახალციხე-ახალქალაქი შეიერთოს ადერბეიჯანის რესპუბლიკამ.

როგორც ატყობა ამნაირად შეთანხმდნენ ბეცი და კუდაბზიკა სომხის პოლიტიკოსები და ავანტიურისტი „მინისტრი“ ბეგები.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მთელი სომხის ერი, რომელიც გაქლენთილია შოვინიზმით, პირადად თუ არა გულით მაინც არ თანაუგრძნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ახალციხელი სომხების ასე აშკარად საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლას სრულებით არ მოველოდით, თუმცა-კი ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სომხების ასეთი გამოსვლები უდრის ყინულზე სიარულს....

ნოემბრის 11.

როგორც წინეთ ვწერდით ხალითბეი სარგებლობს ბეგების მიერ ატეხილ განგაშით, იგებს დროს და სძარცვავს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს. ამით ხალით-ბეი არ კმაყოფილდება და საშინლად სტანჯავს მაჰმადიან და ქრისტიან გლეხებს, რომლებზედაც ოსმალოები ძალმომრეობენ და უფასოდ ურმებით აზიდვინებენ ყველაფერს ოსმალეთისკენ ამასაც არ კმარობენ ოსმალოები, და მათ მიერ გლეხების ზურგზე მათრახის და მხეცურ „ზომას“ თარეშს ბოლო არ ელება.

რათა დამონავებული ჰყავდეს გლეხები და მცხოვრებლები, ხალით-ბეი თავის ჯარებს დემონსტრატიულად ერთი კუთხიდან მეორე კუთხეზე ერეკება. დღესაც გაგზავნა აწყვერის მხარეს ზარბაზნები ქვეითი ჯარით, მართლაც ასეთი ჯარების გადაჯგუფება შიშის ზარსა სცემს ქართველობას, რომელსაც ჰგონია ეს არის იგრიალებენ ზარბაზნები და მაჰმადიანები მთლად ამოგვწყვეტენო, მაგრამ მაგარიც ზოგიერთი დეგეიმორდა ქართველები, რომლებიც შესდგებიან მუქთა-ხორა მემამულეებისაგან და ჩარჩ ვაჭრებისაგან და რომელთაც არ ეპიტნავებათ ქართველების აქ შემოსვლა, იმის მაგიერ, რომ მთლად გაჩუმდნენ, გამოდიან და ხალხს ეუბნებიან: ვინ არის საქართველო, რა ძალა აქვს აბა გაუმკლავდეს ოსმალეთსაო და სხვა ამისთანები.

ნოემბრის 12.

ჩარჩი ჯემალ-ფაშა ხიმშიაშვილი ალბად იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ მას არაფერი ავნოს, დღეს მოშორდა ახალციხეს და წავიდა აჭარაში.

ნოემბრის 13.

მოსულმა ფრანგმა ტყვეებმა გადმოგვცეს, რომ სტამბოლი და ბაქო უკვე ინგლისელების და ფრანგების ხელშიაო სასომხეთი აღდგენილ იქმნება მთელი თავისი ტერიტორიით ინგლისის პროტექტორობით და საქართველო-კი—ინგლისის და საფრანგეთის პროტექტორობითო. ადერბეიჯანის შესახებ ფრანგ ტყვეებმა დაბეჯითებით ვერაფერი ვერ გვითხრეს. მათივე სიტყვით ბათომი ინგლისელების ხელშია და პირველ დეკემბრისთვის ინგლისის წინადადებით, კავკასიაში ერთი ოსმალო ჯარის კაცი აღარ უნდა იყოსო. ჩვენს კითხვაზე: თუ ვის უნდა აკუთვნონ არტაანი, ოლთისი, ართვინი არდაანუჯი და სხვა ფრანგმა ტყვეებმა პასუხი ვერ მოგვცეს.

ამ რიგათ დიდათ სასიამოვნო ცნობები გადმოგვცეს ფრანგმა ტყვეებმა დიაღ სასიამოვნო რადგანაც ბოლო ელება დესპოტიურ ოსმალეთის ავანტიურას“ მაგრამ იმავე დროს თუ კარგათ ჩაუკვირდებით საქმეს, ვაი თუ სიამოვნება მწუხარებათ გადაგვექცეს. ასეა თუ ისე, დიდი სიფრთხილე გვმართებს და იმედია რომ ამ შემთხვევაშიც მთელი ქართველი ერი გამოიჩენს უნარს და არავის დაუთმობს თავის უფლებებს და თავის ტერიტორიას. ყოველ შემთხვევაში ქართველი ერი მზად უნდა იყოს თავდაცვისათვის....

ნოემბრის 14.

ხალით ბეის განკარგულებით დღეს დაიწყო რუსის ტენგინის პოლკის და მე-20 საარტილერიო ბრიგადის და მათი აფიცრების ავეჯეულობის აუქციონით გაყიდვა. აქაც ხალით-ბეიმ ერთჯერ კიდევ დაამტკიცა თავისი ვერაგობა. ნუ თუ შეიძლება კერძო საკუთრების გაყიდვა, როგორიც არის აფიცრების ავეჯეულებას რა დანაშაული მიუძღვით იმ ქვრივ-ობლებს, რომელთა პატრონებმა თავისი დაღვარეს სისხლი თანამედროვე ომში? ჩვენ გვაგონდება ქვრივობლები რადგანაც ვიცით, რომ 80 პროც. მეტი ტენგინის პოლკის აფიცრობისა დაიხოცა კავკასიის და ავსტრიის ფრონტებზე.

თუ შერიგება მართალია, ნუ თუ ოსმალეთს ნება აქვს ან რაიმე გაიტანოს, ან გაჰყიდოს. ეს ხომ ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებებს? მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ პატრონი და ხმის ამომღები არავინ არის. თუმცა გვყავს პატრონი-ქალაქის თვითმართველობა, უკეთ რომ ვსთქვათ დაშნაკელების ბუდე, მაგრამ იგი დღეს ავანტიურისტ ბეგებთან საიდუმლო მოლაპარაკებაშია გართული და სხვა არასფრისა სცხელა.

ვაჭრობაში მო აწილეობას იღებენ უმეტესად გლეხები. საგულისხმიეროა, რომ ადგილობრივი ებრაელობა არ იღებს მონაწილეობას. უკანასკნელების სიტყვით ასეთი ვაჭრობა ჰუჭყიანი საქმეა და მართლაც, რომ ჰუჭყიანია: ავეჯის პატრონს რომ შეეძლოს, თუ ნახავისმესთან თავისი ავეჯი გამოართვას უფასოდ და დაეპატრონოს? ჩვენ გვგონია, ასეც მოხდება და იზარალებს მყიდველი, რადგანაც გამყიდველს ოსმალეთს აქ ველარ ნახავს.

ნოემბრის 15.

აფიცრების ავეჯულობის აუქციონით გაყიდვა დღესაც გრძელდება. ვინაიდან გუშინ ერთ-ერთ ცალში უნახავთ ეერცხლის ნივთებიც, ამიტომ დღეიდან ოსმალოებმა იწყეს ყველა ცალების დახსნა და გაყიდვა. ცალებში, რაც კარგი და ახალი რაიმე აღმოჩნდეს ოსმალოები თავისთვის იტოვებენ და დანარჩენ საგნებს კი ჰყიდიან.

ნოემბრის 16

აუქციონით ვაჭრობა დღესაც გრძელდება. ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ ბეგები და ადგილობრივ სომხის ჩარჩებიც.

გლეხობა ეტანება ტანსაცმელს და ძალიან დიდ ფასებში ყიდულობს.

ნოემბრის 17.

აუქციონი დღესაც არის. ოსმალოები სეიმის ფულს არ იღებენ. თხოულობენ ნიკოლოზის და კერენსკის ფულს. ამას იმით ასაბუთებენ, რომ ფული რუსეთში უნდა გავგზანოთ და იქ-კი სეიმის ფული არ გადისო. აქვე აღსანიშნავია, რომ ოსმალოებს თავიანთ ფულზე-ლირაზე დიდი წარმოდგენა აქვთ, და როდესაც ეუბნებიან, თქვენი ფული საქართველოში არ გადისო, გიჟივით თვალებს აბრიალებენ და ბრაზობენ.

ქ. ჭ. მ-ლი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ ვას. ბრდიშვილის, ალ. ასლანოვის და პოლ. საკანდელიძის ჰირისუფლებს, რომლებმაც ზემოაღნიშნულ პირთა სახელის აღსანიშნავად წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას თითო გვირგვინი შემოსწირეს.

წ.-კ. გ. ს. ზე ტაფონის განყოფილების გამგეობა.

გამომცემელი სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

სხვა და სხვა მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი
№ 41, ტელეფონი 11—65. 2554

ექიმი გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი ქალი ჩ. ს. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ელინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ნაწლების დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მაზმიშაძე იღებს სწეციალურად ნალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და [illegible] მიხაილოვის ქ. № 11. 2245

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავჭალის აუდიტორიის ახლოთ. 2105

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ი. ი. [illegible] შინაგანი ვენერიული [illegible], სიფილისის (მეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ი. ა. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ციებისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. [illegible] დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ა. ტყეშელაშვილი, განახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 3407

ექიმი ბ. გ. მუხაძე იღებს სალოსტაქიო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს -დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა სამკურნალო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სახებისა და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხიეთის აფთიაქის გვერდით. 308

თვალის სამკურნალო მედიცინის დოქტორი ქეთე დონხისისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამიერის კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები ხრული პანსიონითაც მიიღებიან. 629

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიზი), კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
ღარიბებს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რეკვავა—შინაგან და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—3 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იზხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—ვამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ვეზირხისის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნამახარიძის კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ნამახარიძე—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. [illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
ი. ი. [illegible], 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთ თვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნამახარიძე.

ტფილისი, სტამ 14· (კალოუბნის ქ· 14)·